



1981

საქართველოს
საბავშვო



საქაღმდეგო



საქართველოს ქრისტიანული

მცირეფორმის მუშაობის

მეცხრეფორმის № 19-20. 1916 წ.

საქართველოს
განათლებლის

მეცნიერული

წელიწადი მე-XII. №№ 19-20 ოქტომბერი, 1916 წ.

საქართველოს
განათლებლის
საქართველოს
განათლებლის



მხიარულობენ.

საქართველოს სსრ-ის
თბილისი
საქართველოს

242

შ ი ნ ა ა რ ს ი:

I— მხიარულობენ — სურათი.	1
II— შემოდგომა, — ლექსი დ. ელიოზიშვილისა.	3
III— კინკაბიკი, — ლეო ქიაჩელისა.	5
IV— სწავლა ღუნის ძალაა, — აქარაში გაგონილი ზღაპარი, ჩაწერილი ნიკიფორე გეგელიას მიერ.	14
V— წყარო, — ლექსი გიგო თემისხვეელისა.	21
VI— გუგულის სიმღერები, — თარგმანი დიომიდესი	42
VII— სამხეცეში, — თეთრი დათვი, — ვერშინინისა, თარგმანი მარიამ გარიყულისა.	26
VIII— ინდის ხურმა, — ნ — ისა	37
IX— გასართობი: — აკროსტიხი, სიტყვა-მარცვალ-ასოებით ვარჯიშობა, რებუსი და აღსნა.	39



უემოდგომა

ვას ღრუბელი შეეპარა,—
დაგვაფრქვია ცრემლი მწარე;
სემ ფოთლები გადმოეარა.
გადაუვითლდა არე-მარე.

ვენახებში ქალი, კაცი,
თვის ზაწაწა ბავშვებითა,
ტრიალებენ, ეურძენს ჰკრეფენ,—
სახლში მოაქვთ კოდრებითა.

უშველებელ კაკლის სეზე
ჩვენი ჰეტრე ჩამოჟდარა;
კაკალს ბერტეავს... დიდი საღებო
ურტეაუნებს წარა-მარა.

ფრინველთ გუნდი უცხოეთში
გაიწვია ამა დრომა;
მერცხლებმა ცით გადმოკეპხეს:
შემოდგომა!... შემოდგომა!..



დ. ელიოზაშვილი





ჭინკა-ბიჭი



ინკა-ბიჭის ზამდვილი სახელი სანდრო იყო. მაგრამ ამ სახელით მას არავინ იცნობდა. მისთვისაც რომ დაეძახნა ვისმე „სანდრო“—ო, ზასუსს არ გასაცემდა. ეს იმიტომ, რომ მეტსახელისთვის ჰქონდა ჭინკა-ბიჭს შეწვეული

ეური და თავისი ზამდვილი სახელი არც კი ახსოვდა. მთელ სოფელში დედამამამ და მასლობელმა ნათესავეებმა თუ იცოდნენ მისი ზამდვილი სახელი, თორემ სხვამ არავინ... ჭინკა-ბიჭი კი ყველამ იცოდა,—მის აშბავს სად არ იტეოდნენ სოლმე? შორეული, ძალიან შორეული სოფლის გოგო-ბიჭებისთვის რომ გეკითხათ:

— იცნობთ ჭინკა-ბიჭს?—ისინიც კი მოგიტეებდნენ:

— ჭინკა-ბიჭს როგორ არ ვიცნობთ?.. გუშინ აქ იყო: ცხენზე იჯდა და დააჭენებდა!

მაგრამ ეს რაა!! ჭინკა-ბიჭი რომ ცხოვრობს, იმ სოფლის ჭაღებისკენ რომ გაგესეირნებიათ და გეკითხათ მათთვისაც:

— ჭაღებო, იცნობთ თუ არა ჭინკა-ბიჭს?—ჭაღებიც უთუოდ გიპასუხებდნენ:



— ჭინკა-ბიჭს როგორ არ ვიცნობთ?.. გუშინ აქ იყო: ცხენზე იჯდა და დააჭენებდა!..

მაგრამ ეველასე უფრო კარგად ჭინკა-ბიჭს სოფლის ნახირი იცნობდა. განსაკუთრებით ცხენებმა და მათ შემდეგ კამეჩებმა იცოდნენ, თუ რა ცელქი და დაუდევარი ბავშვი იყო ჭინკა-ბიჭი... ამათ არ უუფარდა იგი, თავი მობეზრებული ჭქონდათ მისგან, და რომ შესძლებოდათ, ვინ იცის, რას არ დამართებდნენ მას. ამიტომაც ცხენებისა და კამეჩებისათვის არც უნდა გვეითხა ჩვენი ცელქი ბიჭის ამბავი, თორემ გაგიწვრებოდნენ და შემოგიტყვდნენ:

— ჭინკა-ბიჭიო?! მისი მეგობარი სომ არა ხარ, რომ კითხულობ?.. ის ავახაკია და დაუნდობელი! მისგან ქვეყანას მოსვენება არა აქვს! საცემი ბავშვი!..— გაჯავრებით გინახუნებდნენ ცხენები და კამეჩები.

— კი, კი!.. საცემია ჭინკა-ბიჭი, საცემი!..— აჭეუვებოდნენ მათ მინდორზე შორი-ახლო მდგარი ხეები. — სულ დაგვიმტვრია ტოტები, შტოები!.. ეს სასრე მინდაო, ეს შეილდ-ისარიო! გაგაწვალა იმ ცელქმა, იმან!!

მართლაც ბევრნი ეძღუროდნენ ჭინკა-ბიჭს და სამართლიანადაც ეძღუროდნენ! მისი ოინებისთვის ვისა სცალოდა მანცა-დამანცა? ეველას თავისი საქმე აქვს, თავისი მოვალეობა აწევს, და, მსოფლივ ჭინკა-ბიჭია უსაქმო, წეს-რიგის დამრღვევი!.. მაშ, მოცლილობით კი არ მოსდის სოფლის ნახირს, რომ მინდორში იმყოფება და ბაღასობს:— ძროხა გინდა თუ ხარი, ცხენი თუ კამეჩი, ეველა თავისებურად ემსახურება ოჯახისა და სოფლის კეთილდღეობას, და ტყუილად ნურავენ იფიქრებს: ესაო და, რაკი მინდვრად არის ჰირუტევი, უთუოდ უსაქმოა, და, მოდი, ერთი მისით თავს გავირთობო!

ჭინკა-ბიჭი ამ მხრით შეუსმენელი ბავშვი იყო. გავიდოდა მინდვრად თუ არა, ისეთს დაჭეიუნებდა, რომ გვეჯივებოდა,

ეს არის ვიღაც საშინელი არსება საომრად მოვიდაო. მისი მჭექარე სმისაგან არე-მარე უმაღლე მიუხედებოდა. მხოლოდ ცელქი მდინარის ჰირი-ჭალები გაიხშაურებდა:

— ჭინკა-ბიჭი მოდის! ჭინკა-ბიჭი მოდის!.. სეირს ვუუროთ!.. აბა, ახლა სეირს ვუუროთ!

მინდორზე მობალასე ნახირი კი შეერთოძით თავს მალა ასწევდა და ჭინკა-ბიჭისკენ მოიხედავდა:— ჩვენსკენ სომ არ მოდისო.— როგორც კი დარწმუნდებოდა, რომ ჭინკა-ბიჭი სწორედ მისკენ მიდიოდა, ფრუტუნით გაიფანტებოდა... ზანტი კაძეხებიც კი იკადრებდნენ გაქცევას; თორემ ცხენები სულ ჭინკა-ბიჭის ხიხინით გადაიბრუნდნენ მინდორს და ტუეს შეაფარებდნენ თავს.

სასაცილო კი იყო, რომ ციდასოდენა ბიჭუნია შიშის ზარსა სცემდა უშველებელ, დიდრონ ოთხფეხა ჰირუტუვთ; მაგრამ რა ექნათ ამ საცოდავებს, როცა ჭინკა-ბიჭი ნამდვილ ჭინკად ეკლინებოდა მათ და სიცოცხლეს უმწარებდა?.. კანსაკურებით ცხენებმა იცოდნენ, რომ თუ რომელსამე მათგანს იხელებდა ცელქი, მაშინვე ზურგზე მოექცეოდა და მანამდის ატარებდა ჭინკებით, სანამ არ გაკუდავდა და არ მოქანცავდა!

კი, ნამდვილი ჭინკა იყო ჭინკა-ბიჭი: გარვეგნობითაც კი ჭკავდა ჭინკას,— ჰატარა იყო, მარღვიან-ნაკვითიანი, მარდი, კაძეხავი და დაუცხროძელი! ჰატარა, შავი თვალები ისე უნათებდა შისისგან შერუჯულ სახესზე, ერთმანეთში შერეულ წარბებ ქვეშ, რომ ჰირველსავე შეხედვასზე მიხვდებოდი, თუ რაც ბრძანდებოდა ჭინკა-ბიჭი! ტოლ-მეგობრებსაც კი ეშინოდათ მისი, რადგან მოჩხუბარი იყო და ისეთი სარძეები იცოდა, რომ მოზრდილსაც კი გაუჭირდებოდა მასთან გასწორება.

**

როცა სოფელში ბევრი იყო ცხენი, ჭინკა-ბიჭიც ბედნიერი იყო და კმაყოფილი:— გავიდოდა მინდვრად, აარჩევდა უკუ-

თესს, თავისი ღვედის კრძელი ქაძრის ერთ წვერს ლაგამად მიუძარუშებდა ძირა-ლაფშხე, მეორეს კი სელში დაიჭერდა; შემდეგ წაიუვანდა ცხენს, დააუენებდა სადმე მოხერხებულ ადგილას—ჯირკვთან ან ამოწეული მიწის კიდეტან, რომ შეჯდომა არ განჭირვებოდა, თვალის დასამხამებაზე სურგზე მოექცეოდა და მთელი დღის განმავლობაში ხან აღმა დაჭქროდა, ხან დაღმა..

მაგრამ მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო და ქვეყანა შეინძრა, სოფელი ცხენებისაგანაც ისე დაცალიერდა, როგორც მამაკაცებისაგან.—მოვიდნენ მთავრობის კაცები, ასწერეს სოფლის ცხენები, და რომელიც კი ცოტად მაინც ვარგოდა ომის საჭიროებისათვის—წაიუვანეს.—ახლა მინდორზე ფაშა-ტიანი, უშნოდ გაბერილი ჭაკების გარდა ერთი სერიანი ლაფშა არ მოიპოვებოდა. ჩამოჭეარა ურები ჭინკა-ბიჭმა. თუშცა, მართალია, წინაღ ხანდახან კი უუვარდა კამეჩზე ჯდომა, მაგრამ ამას მაშინ სწადიოდა, როცა ცხენი მოსწეინდებოდა, ან ახრად მოუვიდოდა რომელიმე კამეჩის განწვალუბა, თორემ თავის დღეში ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ცხენის მკვიერობას კამეჩი გაუწევდა. მაგრამ ბოლოს-დაბოლოს იძულებული შეიქნა ბედს შერიკებოდა და ცხენოსნობის ქინი დროებით მაინც კამეჩებზე ჯდომით მოეკლა.

ერთხელ, ნაშუადღევს სახრით სელში კამეჩის სურგზე შესკუშნებული ჭინკა-ბიჭი მდინარის გაუოლებასზე დადიოდა. ცხელოდა. საცოდავი ჰირუტევი ორნაირად იტანჯებოდა:—სიცხისა და უაზრო სექიალისაგან; ნესტოებს ჰბერავდა, სუნემიდა, ეურხებოდა ზატარა მწვალებელს, მაგრამ ვერას სდებოდა. ჭინკა-ბიჭი ხან ერთ გვერდზე გადაჭკრავდა სახრეს, ხან მეორეზე, ხან აქეთ ატრიალებდა, ხან იქით, და თან ისე არსეინად ღიღინებდა, თითქო სიამოვნებდა კამეჩის წვალუბით, თითქო დასცინოდა კიდეცა ჰირუტევს.

კამეჩი დიდად მომთმენია. თუ ძალიან არ გააჯავრე, სულ გემორჩილება. სწილოსა ჭკავს; მაგრამ, თუ ერთხელ გაბრახდა, სანძინელია: არ დაგინდობს.—ჩვენს ჭინკაბიჭს კი ისე ეგონა, რომ თუ ერთხელ და ორხელ დაიოლია კამეჩი თავის ნებაზე, კვლავად დაიოლებდა და ისე ატრიალებდა ამ სიცხე-პაპანაქებაში, როგორც მოესურვებოდა. მაგრამ შესცდა. კამეჩმა მოთმინება დაჭკარვა. შეინძრა არა-ჩვეულებრივად და ჭინკა-ბიჭი კარგა მაგრად შეაქანა ზურგზე. უური არ ათხოვა არც მის ბრძანება-უვირილს: გადაუსვია გზიდან და მდინარისკენ გასწია.

—ლომავე, რას ჰბედავ ამას?.. მობრუნდი, გეუბნები!—სასრის გადაკვრით დასჭევილა ჭინკა-ბიჭმა. მაგრამ ლომას თითქო არც გაეგონოს და არც მოხვედროდეს სახრე. სირბილით მივიდა კარგა ძალად ნაპირთან და გადაეშვა ჰირდა-ჰირ წუალში! იმ ადგილას მდინარეს ღრმა გუბე ჭქონდა გაკეთებული, და ჭინკა-ბიჭის კამეჩი აკი ამ გუბის შუა გულში შეიჭრა.

—ლომავე, ლომავე!.. საძაგელო, რას სჩადისარ!—იუვირა ჭინკა-ბიჭმა, მაგრამ... უმაღვე დამუწა ჰირი, რადგანაც წუალი შეესხა სახეზე და კამეჩიდან გადმოვარდნილმა ზედი-ზედ რამდენიმეჯერ დაუვინთა. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ჭინკა-ბიჭმა ცურვა იცოდა, თორემ უთუოდ დაიხრჩობოდა. გაუსვა და გაუსვა ხელები, მეორე ნაპირზე დააპირა გასვლა; მაგრამ ტანსაცმელმა შეუკრა ხელები, თუ რა მოუვიდა,—იქნება დამდგარი წულის მიხეზიც იყო,—წინ ვერ წაიწია. შეშინდა.

—ვაიძე, მიშველეთ!—იკადრა ევირილი.—ვიდრჩობი, მიშველეთ!—ლომა გი ამ ღროს გუბის ღრმა შუა-გულიდან განსე გაწეულიყო და, ევლამდის წუალში ჩაწოლილი, ტანს იკრილებდა.



— მიშველეთ... ვაიმე! — განაგრძობდა ფართხალით უვირილს შემინებული ჭინკა-ბიჭი და რაც ღონე ჰქონდა მუშაობდა ფეხებით და ხელებით. მაგრამ კამკონი და მომშველი არავინ აღმოჩნდა. კარგა ხნის წვალებისა და ცურვის შემდეგ, როგორც იქნა, კამეხამდის მიადწია.

— უსინდისო ლომავ, მიშველე! — უთხრა და ფეხები მოიკიდა მის ზურგზე. ლომამ შეავლო თვალები წულში ამოვლებულ, ქათამს დამსგავსებულ ჭინკაბიჭს და, რომ დაინახა შემინებული, ფერწასული ბავშვი, შეეცოდა: არ დაინძრა ადგილიდან, მისცა საშუალება მის ზურგზე გამაკრებელიყო შესასვენებლად. მხოლოდ კი დაიფრუტუნა ერთი, თითქო ეს უთხრა:

— იკეპე შენცა, თუ როგორია წვალება!.. მოგწონს?.. კვლავად ხომ ვერ გაბედავ ახირებას?..

სწორედ ამ დროს ნაპირზე ვიდაცა მხედარი გამოჩნდა.

— ჰეი, ვინ იყო, რომ უვიროდა? — იძსოდა უცნობი და მდიანარეს ათვალეირებდა. ჭინკა-ბიჭმა დაინახა კაცი თუ არა, ხელები დაუქნია, დაუძახა:

— ნაპირზე გამოივვანე, თორემ დავიღწობი! — თან ვედრების კილო დაატანა სიტყვებს.

მკსაურს გაუკვირდა სანახაობა, მოაბრუნა ცხენი და აჩქარებით გასწია ჭინკაბიჭისკენ საშველად.

— რა მოგსვლია, ჰატარავ?.. აქ რა გინდოდა? — ჰკითხა მან და ფრთხილად, ღრმა ადგილის შემორებით, მიუახლოვდა ჭინკაბიჭს. უცნობის მიახლოებაზე კამეჩი დაფრთხა და წამოდგა. მაგრამ მკსაურმა მოახწრო, გაუწოდა ხელი ბავშვს და თვალის დახამსამებაზე კამეჩიდან თავის ცხენსე გადმოსვა.

— ნუ შეგეშინდება! არა გიჭირს-რა! — მიუაღერსა და ნაპირზე გამოივანა. დასვა ძირს.

— მეორეჯერ ფრთხილად იუბვი, ჰატარავ!.. ახლა წაღი
სახლში და დედას უთხარი გამოგიცვალოს ტანსაცმელი!.. სვე-
ლი გაკაცივებს!—უთხრა უცნობმა და წასვლა დააპირა; მაგ-
რამ კულმა არ დაანება თავიდან ფეხებამდის გაწუმებული ბავ-
შის ასე დატოვება მინდორზე.

— შორს არის შენი სახლი, ბიჭუნია?.. მოდი, შემომიჯექ,
თუ გინდა, და მივიყვან!—მიმართა ალერსიანად.

— აგერ არის!—დარცხვენით მიუგო ჭინკა-ბიჭმა და სე-
ლი სოფლისკენ გააშვირა. თან ცალი თვალით ასედა-დასედა
ცხენს. თავში გაუელვა: „რა კარგი ცხენია!.. ნეტავი შემო-
მიჯენდესო“!

— მოდი, მოდი, თუ არ შეგეშინდება! მომეცი ხელი და
შემომიჯექ!

ჭინკა-ბიჭს არ დაუყოვნებია: ფოთოლივით ატევა უცნო-
ბის ხელს; ცხენის მუსლის თავიც კი წაინძვრია—ფენით
მიეხვინა, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდა ხოლმე.

— შენ არც ასე გლახა ხარ, კეტეობა!.. ეონად!..—გაი-
კვირვა ბავშვის გამოცდილება მკსავრმა; მოისკა უკან და იქით
გასწია, საითაც ჭინკა-ბიჭმა მიუთითა.

— ხელი მომიკიდე ქამარზე!.. არ გადმოვარდე!—დაბრიკა
გზაზე უცნობმა ჭინკა-ბიჭი.

— არა! მე არ გადმოვარდები!—თამამად მიუგო ჭინკა-
ბიჭმა და ძალუღად ქუსლი ჰკრა ცხენს. თან დაატანა:—ახუ!

— ხელა, ბიჭუნია! ნუ კი კათამამდები!—ცოტა არ იუოს
ეოცა უცნობს ჭინკა-ბიჭის საქციელი.

— მე ცხენზე კარგად ვსივარ!.. თუ გინდა—გაატენე!

— მერე გადავარდნის არ გეშინია? შენ რა იცი ცხენზე
ჯდომა?

— ჭინკა-ბიჭი ვარ და ცხენის ჭენება ვიცი.



—ჭინკა-ბიჭო?! მამ შენა ხარ ის ჭინკა-ბიჭი, რომელს
შედაც მთელი სოფელი სწივის—ცხენები და კამენები არ და-
გვიუენაო! აი, შე ცელქო, შენა! რომ მცოდნოდა, წელიდან არ
ამოგიუენდი!—გაწურა უცნობი, მაგრამ რაღა დროს? ის უკვე
სოფელში იყო შესული, და ჭინკა-ბიჭი ერთ სახლსე უნიშ-
ნებდა და ეუბნებოდა:

—ეს არის ჩემი სახლი!.. ახლა ჩამომსვი!

მგზავრმა ჩამოსვა იგი და დაუცაცხანა გაწურომით:

—ახლავე შედი სახლში და მშრალი ჩაიცვი ტანსე, თო-
რემ მოკვდები, იცოდე!.. ან გამოძისმე აქეთ დედა-შენი: მე
თვითონ ვეტყვი... შენი ოინები მე კი ვიცი!.. სხვა დროს
ეურებს დაგაჭრიდი!!

სანამ ამას ეტყოდა, ჭინკა-ბიჭმა ნაჩვენებ სახლში შესე-
ლის მაგიერ გზას გადაუსვია, სულ სხვა მხრით ჰქნა ზირი
და თავის მოკეთეს მიამახა:

—მოგატყუილე, მოგატყუილე! ეს ჩემი სახლი კი არ არის,
სხვისია!.. ჩემი კი იქით არის, შორს... სსვაგან!..

ამ სიტყებით, რაც ღონე ჰქონდა, მოჰკურცხლა და სას-
ტად დატოვა კეთილი მგზავრი.

* *

ამ შემთხვევის შემდეგ, იმის მაგიერ, რომ მოჰკვიანებულე-
ო, სულ გაეშმაკადა ჭინკა-ბიჭი. იგი ახლა ეოველ სიცხიან
დღეს გამოდენიდა რომელსამე კამენს მდინარესკენ, შარა გზის
მახლობლად ჩააწვენდა წუბლში, ნაზირს დიდად არ დაშორდე-
ბოდა და მის ზურგსე შესეკუბებული, განზრან დასეველებული
მორთავდა წივილ-კივილს:

—მიშველეთ!.. მიშველეთ!.. წელიდან ამომიუენეთო!

მოხდებოდა სშირად, რომ ცხენოსანი მგზავრი გაივლე-
და, ნახავდა გაჭირვებულ ბავშვს და მიეშველებოდა. ცხენსე

შეპოიჯენდა და ნაპირზე გამოიუგანდა. მხოლოდ ჭინკა-ბიჭი ახლა თვითონ შეესხვეწებოდა:

—მციაა!.. ეკერ არის ჩემი სახლი... მიმიუგანო!—მოტუეუბული მკზავრიც უსრულებდა სურვილს, და ჭინკა-ბიჭიც ამნაირად მაინც ერთობოდა ცხენზე ჯდომით.

მაგრამ ერთ დღეს ჭინკა-ბიჭი იმ მკზავრს გადაეუარა, რომელმაც იგი პირველად ნამდვილი გასაჭირისაგან იხსნა. მიუხვდა, რა თქმა უნდა, ეშმაკობას:

—კიდე შენა ხარ, შე დაუდგეგარო შენა?.. ასე ატუეუბ განა ხალხს? ახლა კი მიუხვდი, თუ როგორ გითრევეს ხოლმე კამეჩი შუა წუბლში!.. დაცადე მანდ!.. მე შენ გაჩვენებ ახლა ჩემ სიკეთეს!

შეშინებული ჭინკა-ბიჭი ამის გაკონებაზე, უცნობს რომ ხელში არ ჩავარდნოდა, შივ წუბლში გადაეშვა და ქასცურა მეორე ნაპირისკენ. იფიქრა—გავასწრებ მეორე ნაპირზე გასვლას და მერე რამდენიც უნდა მდიოს, მაინც ვერ დამიჭერსო. მაგრამ აჩქარებით ხელების მოსმა ფეხებისას ვერ შეუთანხმა. შიშმაც იმოქმედა, და ტანსაცმელმაც დააბრკოლა. ვერ გასჭრა წუბლი და, წინ სვლის მაგიერ, დაიძირა... წუბლიც ბლომად გადასცდა პირში. შეჭქანდა მთელის ტანით. ამოვარდა ზედაპირზე, მაგრამ მდინარემ ხელმეორედ ჩაითრია და დაიძირა. —ახლა ხმასაც ვერ იღებდა ჭინკა-ბიჭი.

—ნუ გეშინია, ბავშვო... კი არაფერს გიზამ! მართლა ივეორა მკზავრმა, როცა საფროსზე გვიან იყო, სანამ ნახა; მაგრამ მან შეავდრო წუბლში ცხენი ბ მიეშველა, ჭინკა-ბიჭი საკმაოდ გაგუდულიყო და სულს ძლივს ითქვამდა. კიდე კარგი, რომ მკზავრი გამოცდილი კაცი აღმოჩნდა. ნაპირზე გამოუვანისთანავე დააწვიანა პირადმა, დახილა კარგად ბ გადაელაპული წუბლი ამოარწვევინა. როცა მოასულიერა, შეაჯდა ცხენს და სახლში წაიუგანა. დედამამს ჩააბარა. თინაც ეველაფერი უამბო, რაც იცოდა.



მშობლებს ზირველ ძალიან შეეშინდათ. მაგრამ როცა ნახეს, რომ საშიში არაფერი იყო, და ჭინკაბიჭი შეეღებურად აბრიალებდა ემბაკურსა და მკვირცხლ თვალებს, სთქვენს:

— ასე უნდა მაკას, შენი ჭირიმე!.. მოუნდება, თორემ არ აწუენს! იქნებ ჭკუაში ჩადგეს და გადაეჩვიოს ცხენ-კამეჩებსე შეჯდომას!..


ამის შემდეგ რამდენიმე დღე დაჰყო ჭინკაბიჭმა ლოგინში. გული ჰქონდა სუსტად და აციებდა.

„ოღონდ კი მოვრჩე, და ჩემს დღეში არ შევჯდები არც კამეჩსე და არც ცხენსე!.. მდინარეს სომ ახლოსაც არ გავუკარები!“ — ამბობდა იგი გულში, მაგრამ ვინ იცის, როგორ მოიქცეოდა, როცა შორჩებოდა; საუვარელ მინდვრისკენ გაიხანჯარდებდა და ჭალებს მიესალმებოდა:

— ჭინკაბიჭი! მოდის ჭინკაბიჭი, მოდის!.. სეირს ვუუროთ! აბა, ახლა სეირს ვუუროთო!

ღვო ჭიანჭი





სწავლა ღუნის¹⁾ ძალა²⁾



(აგარაში გაგონილი ზღაპარი).

უო ერთი ფუნსრა³⁾ კაცი. ჭეუბდა ერთი ვაჟი-
შვილი. ათი წელი რო შეუსრულდა ვაჟს, ძაძამ
მოისურვა შვილის სასასწავლებელში მიცემა.
გამოაცხო წინა დღით საგზალი და მეორე დღეს
შვილიანად გაუდგა გზას.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ ციცაბო კლდეს.
შორი გზიდან წამოსული ძალზე დაიღალა და იქვე წამოგო-
რებულ ქვაზე დაჯდა. დაჯდომის დროს, დაქანცულობისა
გამო, „ოხ“, წამოიძახა; მოიძრო უბაღასი და იქვე ქვაზე
ჩამოსდო.

კულიდან ამოძახილ „ოხ“-ის დროს მიწამ ზირი გაადო
და ქვესკნელიდან ამომერა ვიღაცა შავ-წვერიანი ბერი კაცი.
მიესალმა ქვაზე მჯდომარეს და ჭკითხა:

— რაზე გარჯილხარ, რად დამიძახე?

— მე არ დამიძახსინხარ. მხოლოდ ამ ქვაზე დავისვენე და

¹⁾ ჭეუბანა. ²⁾ ეს ზღაპარი მაშინ ერთმა მოხუცებულმა ქართველმა მკვლევარმა
დაიწერა და შემდეგ სოფ. აგარაში, როდესაც ხალხს უხსნიდა სწავლა-განათლე-
ბის მნიშვნელობას. ³⁾ ღარბი.

ჩემ გზას უნდა გაუღდე. შეილი მიმუჯეს სასწავლებელში ვისმე უნდა მივბარო,—უთხრა ქვაზე მჯდომარემ.



— ოს! დაიძხე და ეს „ოს“ მე მქვია სახელია. ამიტომ შენ დამხებამე მე ამოვედი. თუ შეილი მიმუჯეს სასწავლებელში ჩემსე უკეთეს ვის მიბარებ. დამიტოვე: ვასწავლი, რაც მისთვის საჭიროა, და ერთი წლის შემდეგ ისევ მოდი ამაღაგას, „ოს“ დამიძხე და შენ შეილს ისევ ჩაგაბარებ. თუ ისწავლა ჩემი ხელობა, კარგია შენთვის, თუ არა და—რას წააგებ?

„ოს“-ის ნათქვამი გულში დაუჯდა ქვაზე მჯდომარეს. აიუვანა ვაჟი, „ოს“-ს ჩაბარა ერთი წლის ვადით, გამოემშვიდობა და სახლში გამობრუნდა.

ბერიკაცმა ვაჟს ხელი მოჰკიდა. მიწამ ისევ ზირი გააღო და ორივე მიწის ჯურღმულში ჩემძენენ, სადაც რამდენიმე კოზწია, ზატარ-ზატარა სახლი იდგა. ბერი კაცი იმ დღიდანვე შეუდგა ვაჟის სწავლებას.

ბერიკაცს ჭეკვდა ერთი ქალიშვილი. ქალიც ძალიან ლამაზი და კეთილი გულითა იყო, შეებრალა უმაწვილი და ერთ

დღეს, როდესაც მამა მოშორებით იყო, ვაჟი მოისმო დაბრიგა და უთხრა:



— მამა-ჩემი რო გეტყვის, იცი, — რაც გასწავლე? — შენ უთხარი: — მე არაფერი ვიცი-თქო, თორემ აქედან ცოცხალს არ გაგიშვებს, დაგკლავს, მოგხარშავს ქვაბში და შეგჭამს. ჯერ არცერთი ზემოდან ჩამოეყვანილი ვაჟი ცოცხალი არ გაუშვია. ეცადე ჩემი დაბრიგება უნაკლულოდ შეასრულო, თუ სიცოცხლე გინდა. მებრალეები: კარგი უმასწვილი ხარ, და ამიტომ გეუბნებიო, — უთხრა ქალმა.

გავიდა ხანი. მოაწია მიცემულმა ვადამ. ბერიკაცმა მოითხოვა თავისი მოწაფე და ჭკითხა:

— იცი, რაც გასწავლე?



— არაფერი ვიცი, ვერაფერი გავეუკე შენ ხელობას, — უპასუხეს ვაჟმა.

როცა წელიწადი შესრულდა, რაც ვაჟი ბერიკაცის ხელობას სწავლობდა. მოვიდა ვაჟის ძამა, დანიშნულ აღაგას ჩამოჯდა ისევ ქვაზე და „ოხ“ წამოიძახა. დამახილზე ბერიკაცი „ოხი“ ქვესკნელიდან ვაჟიანად ამომვრა, ვაჟი ძამას ჩააბარა და უთხრა:

— შენი შვილი უნიჭო უოფილა. ვერაფერი ვასწავლე წლის განმავლობაში, და ახლა შინ წაიუვანე.

ფუნარა ძამამ წამოიუვანა ვაჟი შინ. დაღონებული შვილის უნიჭობით, იმედ-დაკარგული შეუდგა მეორე მასწავლებლის ძებნას.

მეორე დღეს ვაჟმა უთხრა ძამას:

— მამილა, მე ჯორად გადაიქცევი, ზირში ლაგამი ამომდევვი, ბაზარში გასასუიდად წამიუვანე და გამეიდევ. მხოლოდ შეიძველს ჩემი ლაგამი არ გაატანო.

— კარგო, — უთხრა ძამამ.

ვაჟი ჯორად გადაიქცა. ძამამ ამოსდო ზირში ლაგამი და ბაზარში გასასუიდად წამიუვანა. შეიძველეები ბევრი აღმოჩნდნენ. ახედ-დახედეს. ერთმა ეკვლასე მეტი ფასი მისცა ზატრონს. გამოართვა შეიძველმა ულაგამოდ ჯორი, მოიტანა სხვა ლაგამი, ამოსდო ზირში და წელის დასალეკად წამიუვანა. მიიუვანა ახლო კვირაბში, სადაც შემოდან მილით ჩამოჩუსჩუსებდა ანკარა წვალი. მიიუვანა თუ არა, შეიძველს გაუშვა*) სელიდან ჯორი, შევარდა ამ წვრილ წელის მიღში და მიიძალა.

მორთო ევირილი შეიძველმა:

— ჯორი მიღში შექმნა!

შეგროვდა ხალხი. დაინახეს თუ არა, რომ მოუსერებუ-

*) გაუსხლტა.

ლი იყო ძილში ჯორის გაძრომა, მოტუეებისთვის გაღანს
დეს, გაღასეს შეიღველი და გამობრუნდნენ უკან.

ჯორი გადიქცა ისევ ვაჟად და მოვიდა სახლში. მეორე
დღეს ვაჟი განდა ცხენად. მამამ, როგორც ვაჟმა უთხრა, გაჭეი-
და ცხენი კარგ ფასად ბაზარში. ცხენი, ვაჟად გადაქცეული,
ისევ შეიღველს გამოეპარა და დაბრუნდა სახლში.



ამასობაში გადიდრდა ფუსარა მამა. ნამოვნი ფულით
გააშენა სახლ-კარი და დაიწყო ტკბილად ცხოვრება.

გაიგო ფუსარა კაცის გადიდრება და თავისი ნამოწაფა-
რის ეშმაკობა „ოს“-მა, ამოვიდა ქვესკნელიდან და განსწია
ბაზრისაკენ, სადაც მამას განსასყიდად ეჭირა ხელში ვაჟი, ცხვრად
გადაქცეული. დაინახა „ოს“-მა კარგი ცხვარი და შეევაჭრა
პატრონს თოკიანად. მამა უარსე იდგა თოკის მიცემაზე, მაგ-
რამ არ დაუჯერა „ოს“-მა და შეაძლია ძრავალი ოქრო. ფულით
მოჯადოებულმა მამამ მიჭეიდა ცხვარი თოკიანად მუშტარს
და თვითონ განარებული დაბრუნდა შინ.



„ოს“-მა მოჰკიდა ცხვარს თოკზე ხელი და სახლში მიუყვანა. ცხვრის დანახვაზე გამოვარდა ოსის ქალიშვილი, იცნო ვაჟი, შეეცოდა და თვალ-ცრემლიანი გაბრუნდა ოთახში.

„ოს“-მა კალესა კარვად დანა, შესდგა ცეცხლზე ქვაბი, აადულა წუალი და მივიდა ცხვართან დასაკლავად. მოხსნა თოკი ხეს და უნდა დაეკლა ცხვარი, მაგრამ დანა ოთახში დარჩენოდა. დაუძახა ქალიშვილს:

— დანა მომიტანე, იქ ოთახში არისო.

შევარდა ქალიშვილი ოთახში და დანა გადაძალა. განზრახ ბქეთ ეძება, იქით ეძება, მაგრამ ვითომ ვერსად იპოვა.

გაჯავრებულმა „ოს“-მა ცხვარი ისევ ხესე მიაბა, შევარდა ოთახში და დანას ძებნა დაუწყო.

ამასობაში ქალმა ცხვარს მიაშურა, ააძრო თავზე თოკი და გაუშვა. ცხვარი გადიცა უშველებელ რქიან საზრად. „ოს“-ი გადაიქცა მკლად და გამოვეიდა. მიჰვარდა მკელი და უნდოდა ხარი შეეჭმა. ხარი გადიცა თხუნელად; დაიწყო სევით მიწის თხრად და ქვესკნელიდან ამოხვლა. მკელი გადიცა თავკვად და გამოვეიდა თხუნელას. თხარეს, თხარეს ორივემ მიწა და შემოაქვეყნაში ამოჰვეეს თავი. თხუნელა გადიცა მტრედად. თაგვი გახდა ქორად. გამოვეიდა ქორი მტრედს, უნდოდა დაეჭირა, მაგრამ მტრედი გადიცა ფორთოხალად და ფადიძახის*) ხელში ჩავარდა. ფადიძახს ძალიან გაუხარდა.

ამასობაში ქორი გადიცა ვეზირად და შევიდა ფადიძახთან სანახავად. ვეზირმა დაინახა ფადიძახის ხელში ფორთოხალი და სთხოვა რამდენიმე წუთით მიეცა. ფადიძახს უნდოდა მიცემა, მაგრამ ფორთოხალი ხელიდან გაუვარდა და გადიცა ზურის მარცვლებად. ვეზირი გახდა კრუსად და და-

*) ხელმწიფე.

უწყო მარცვლებს კენკვა. უკანასკნელი მარცვალი რო უნდა
 აულო, ეს მარცვალი გადიქცა შელიად, სტაცა კრუსს ჰირი
 და გემრიელად შესრამუნა. ძელია გახდა ისევე ვაჟად, წამო-
 ვიდა შინ და შვილის სერსით გამდიდრებული შის სასლში
 იწყო ტკბილი ცხოვრება.

ნაიფორე კეკელია





ვეზარი

ანწკარა წუარო,
ნახო და წუნარო,
სიცოცხლის ცვარო,
ზე ამოდუდდი!

იმედო ჩვენო,
ევაგილთა მვენო,
ლამაზო, მშვენო,
ნეტავ რას უცდი?

ამოკამკამდი,
ამორაკრაკდი,
ალაზარაკდი
და ამეტუველდი!

სადაც კორდუკელი
იხილო სმელი,
ნუღარას ელი,
მორწყე, გამხსნევი!..

ნუ ხარ მდუმარე
ნუ ხარ მწუხარე,
ხნულს ჩაუარე
ტკბილ ხუსხუსითა.

ვრცელი შთა-ბარი
გელის დამკნარი,
მოასხი ცვარი
მას სიუსვითა.

გვაკმარე ძალვა,
მიწის ქვეშ კრძალვა,
ევაფილებს გვალვა
აქნობს ძალა'სე.

დაიწეე შრომა,
კმნებზე სტომა,
რამ გაგაწერომა
რიე-ჭალა'სე?

შენი ძვირფასი
წუხლი მგზავრთ ასვი,
ასი ათასი
ევაფილი გიცდის:

აქეთკენ ია,
ნაზი, გულ-ღია,—
იქით კი სვია
წუურვილს განიცდის.

ზამბასი ჭკნება,
ნარგიზი სძება,
ეაუაზო კვდება
უშენობითა!

გვალვას არ ესმის,
ვარდი რომ კენესის,
ვერც ბულბულს ეტრფის
უენობითა...


ნორითა ჯეჯილთა,
 გამხმარ სეხილთა,
 უსუსურ შვილთა
 შენ ხარ ნუგეში...


მიღამო გმინავს,
 მინდორი დრტვინავს,
 კმარა, ნუ გმინავს
 მიწის უბეში!

დინჯო და წუნარო,
 სიცოცხლის ცვარო,
 კადიქვც წუბრო
 ნაკადულადა;

აქაფუდი ღვარადა,
 დაეშვი ბარადა,
 ჩუხჩუხით, მარადა
 მსიარულადა.

ვაგო თუმისხვეული





გუგულის სიმღერები



დოშია მთელი წელი იჯდა გალიაში, ქალაქში, ბოლოს, იმოვა დრო, ამოფრინდა გალიიდან, გაძალა ფრთები და მეტი სიხარულით აფრინდა მადლა-მადლა ცაში, ამოეფარა დრულებს და დაეძვა ზირდაზირ დიდ, გაუვალ ტყეში.

დოშია დიდი ხალისით უაძობდა ფრინველებს თავგადასავალს,—უაძობდა, როგორ აჭმევდნენ ადაძიანები, როგორ უვლიდნენ და რას ღაპარაკობდნენ.

გუგულმაც შეიტყო ახალი სტუმრის მოსვლა და მოუნდა მისი ნახვა. ერთ დღეს, როცა დოშია მარტო იყო, გუგული მივიდა მასთან და უთხრა:

—მე გავიკე, რომ შენ მთელი წელიწადი იჯექი გალიაში და მინდა რაზე გამოგკითხო. რას ღაპარაკობენ ქალაქელები ჩვენ, ჩიტების, სიმღერაზე?

— სხვადასხვანაირად ლაპარაკობენ.

— აი... მაგალითად, ბუღბუღსე რას ლაპარაკობენ?

— ეველა იმას აქებს და ეველას უნდა იმისი მშვენიერი სიმღერის ვაკონება.

— ტოროლასე რაღას ლაპარაკობენ?

— ბევრი აქებს; მართალია — ნაკლებ ვიდრე ბუღბუღსე, მაგრამ მაინც აქებენ.

— შაშვსე რაღას ლაპარაკობენ?

— იმასაც ხომ ეველა აქებს.

— ეს ხომ ასეა, — და გუგულსე, ჩემსე, რაღას ლაპარაკობენ?

— აი, სწორედ ამის თქმა არ შემიძლია, იმიტომ რომ ერთხელაც არ უსსენებიათ შენი სასეული!..

— უუი! — სთქვა ნაწუნმა გუგულმა. — მამ მაღლობას არ ვეტუვი მე იმათ, რადგან ჩემ სასეულს არ ასსენებენ, და ამას იქით მე თითონ ჩემ სასეულს დავსძახებ სოღმე.

და გუგული მას აქეთ სულ იმასის თავის სასეულს: „გუ-გუ, გუ-გუ!“

დიმიტრი





საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს

ს ა მ ხ ე ც ე უ ი

თეთრი ღათვის აზვავი.



ილიდანვე დაიწყო ქარბუქი. მხეცების ბუნაგში ვუჯრუტანებიდან თავისუფლად შედიოდა ცივი ნიაჟი. მუსიკა მანც უკრაჟდა, სცემდნენ დოლს, და ხალსიც მოდიოდა მხეცების საცქერლად. კვიან საღამომდის არ დაშლილან, ერთმანეთში ირვოდნენ, სმაურობა იყო.

ამ სივიწროვისა და შეჯახ-შამოჯახებისაგან, ეტეობოდა, ვეკლანსე მეტად იტანჯებოდა მაიმუნი. ეს იქიდან სჩანდა: როდესაც სამხეცე დახურეს და ხალსიც დაიშალა, იმან უკერად ღრმა მწუსარებით ამოიოხრა:

— დმერთო ჩემო, რა სიცვიჟა, რა საშინლად მტკიჟა თავი, მუსიკის გაძო.

თუთიეუშს ეძინა; თავი ფრთებ ქვეშ ამოეღო და ძილში კრთებოდა.

ვეკლა მხეცები მიწუნარდნენ. უკერად შუა სამხეცედან მოისმა სრინწიანი, ბოხი სმა თეთრი დათვისა:

— უჰ, რა სიცხეა! აქ მე თქვენსე უფრო ვიტანჯები. ვეკლა ჩემ უბედურებას აქ ეს აუტანელი სიცხეც დაერთო.

— ვინ ხარ შენ?— გაუბედავად ჰკითხა მარტორქამ, რომელიც დათვის ვაღიასთან იდგა:— რა ქვეყნიდან ხარ?

თეთრმა დათვმა იპოიოსრა თავი დაიქნია და დაიწყო თავისი ამბავი:

— მოდგმით მე ჩრდილოეთის უინულიან ოკეანედან ვარ,— იმ ქვეყნიდან, სადაც არ სცხოვრობს არცერთი ადამიანი, სადაც სულ სამთარია, სადაც ცივი ზღვის ტალღებში ცურავენ სახლის ოდენა უინულები, სადაც მთელი ექვსი თვე ღამეა და შემდეგ მთელი ექვსი თვე გრძელდება დაუსრულებელი დღე. მე იმ თავისუფალ ქვეყნიდან ვარ, სადაც სცურავენ თავისუფალი ვეშაპები, სადაც ჩრდილოეთის სსიუებს აზნევენ ღამის მნათობნი და სადაც არ იციან რაა ცეცხლი და სითბო.

მე დავიბადე იმ მხარეში, სწორედ იმ დროს, როცა დღემ იწყო კლება და დგებოდა შემოდგომა. დედა-ჩემმა გამოთხარა თოვლში ბუნაგი, შეძერა შიკ და დაწვა. ჩამოხვავდა თოვლი და დააწვა დედას თავსე. ის არ იძვროდა თავის ბუნაგში, სთვლემდა და მთელი თვეები არ გამოძვრალა გარედ ჰაერსე.

— რასა სჭამდა, და რას სვამდა მერე იქ?— ჰკითხა ლომმა.

— იქ ის სრულიად არაფერს სჭამდა და არც სვამდა,— უპასუხა დათვმა.— საფსულში იმდენი ქონი, სიმსუქნე შექმალა, რომ მთელი თვეები შექმლო ეცხოვრა უჭმელად: რამდენიც უჭმოდა დედა-ჩემს, იმდენს თავისი ქონით სასრდლობდა, მის სხეულს აკლდებოდა ქონი; მას კი ვგონა, რომ მაძღარი იყო. თავის ბუნაგში იგი შეუდროდ და თბილად იყო. სქელ თოვლში ქარი ვერ გაატანდა; სინესტისაგან დედა-ჩემს საკუთარი ქურქი იფარავდა.

დედა-ჩემს შევკინეთ მე და ჩემი და. ჩვენ ეოველთვის წვეილად ვიბადებით სოღმე. მშენიერი დათუნები

ვივაკით, ტანად შინაური კატის ოდენა. თითქოს სასაცდლო იყო რომ ასეთ უსარ-მასარ ცხოველს, როგორც ჩვენი დედა იყო, ასეთი ზაწაწკინა შვილები ვვაგდით. ტანს კვიზარადა ბუმბულივით რბილი, სავერდის მსგავსი მშვენიერი ბეწვი და ბურთებსა ვვაგდით. დედის ძუძუს აპრილაძდის ვსწოვდით; მთელ ამ დროს კი დედა არაფერსა სჭამდა. ბოლოს იგრძნო გასაფხულის მოახლოება და დაუწყო თოვლს თათებით ჩამონგრევა. დიდი ხნის დაშეული, სუსტი და ძალიან გამხდარი იყო, მაგრამ მაინც ატრიალებდა ეონაღად თავის გრძელ ბრჭვალებს ჩვენს ირგვლივ გაეხულ თოვლში. მადლი იყო მისი ცქერა, როგორ ეოველ მხრიდან ბასრ ნემსებივით სცვიოდა ეინულები.

— გაიფუჭებ, დედა, თათებს და შერე ვეტიკინება სიარულში!— დაუვეირეთ ჩვენ დედას. იმას კი მხოლოდ ჩაეცინა.

— ნუ გეძინიათ: ქვეყანაზე ვველა ზირუტევი ფესშიძველა დადის; მხოლოდ ჩვენ, თეთრ დათვებს, კვაქვს თათებზე ბუმბული, მატელი; როდესაც ვამტერვით ეინულს, არა ვეტიკინება, და აგრეთვე, როცა დავრბივართ ეინულზე, არ ვეინსლტება ფესი.

დედა ამტერვდა ირგვლივ ეინულს და ჩვენ ბუნაკში თანდათან სინათლე შემოდირდა. მალე გავიგონეთ რაღაცა ხმა, რომელიც ღრიალსა ჰგავდა. ჩვენმა დედამ ღრიალითვე გასცა ზასუსი.

— ეს თქვენი მამა ღრიალებს, — ვვითხრა მან. — მთელი ზამთარი მას არ უძინია: დაესეტებოდა ამ ადგილის გარშემო და ელედობოდა, როდის გამოგიუვანდით ღვთის გაჩენილ ქვეყანაში, სინათლეზე. საწეალმა მთელი ზამთარი მარტო ვაბტარა. სვადი დათვები ბუნაკებში არ სცხოვრობენ.

ჩვენ მოუთმენლად მოველოდით, როდის გავიდოდით ჰაერ-ზე. ზევიდანაც თხრიდა თოვლს ჩვენი ძაძა და ესმარებოდა დედას. ჰაერის შუქმა ერთბაშად შემოანათა ჩვენს ბუნავში. ჩვენ სიცოცხლეში ჰირველად დავინახეთ სინათლე.

დედა-ჩემმა ვერ მე გამომაგლო, მერე ჩემი და; შემდეგ თვითონაც გამოძვრა.

— აი, თქვენი ძაძა!—მიგვითითა მან დიდ და ლამაზ დათუ-ზე, რომელიც იდგა ჩვენ გვერდით. ჰირველ წუთებში მე კარ-გად ვერ გავარჩიე ძაძა: მის ბრწეინვალე სსივებმა დამაბრმა-ვა, თვალები ამიჭრელა. არ შემძლია ავიწეროთ ის დიდუ-ბული სურათი, რაც მაშინ ჩვენ თვალს წარმოუდგა. თვალ უწვდენელ სიერცესე გადაჭიბულიყო თეთრი თოვლის ველი, რომელიც ელავდა, ელავდა ბრწეინვალე ფიფქით. მტრედის ფერ ცაზე არ მოსჩანდა არც ერთი ღრუბლის ნახასი. შორს ცის კიდურზე ღრიალებდა ოკეანე და მის ზედა ჰირზე დას-ცურავდნენ ეინულის უსარ-მახარი მთები.

ჩვენი ძაძა მოვიდა ჩვენთან ახლოს, დაგვენოსა ჩვენცა და ჩვენი დედაც, უეცრად ადგა და განხარებულმა იწყო უკა-ნა თათებზე სიარული. ჩვენი დედაც ასე მოიქცა. ჩვენც მიუ-ბაძეთ და ოთხივემ ერთად გავაჩაღეთ ცეკვა. ასე ვითამაშეთ ერთხანს; მერე დაღლილებმა, მე და ჩემმა დამ მოვსწოვეთ დედას მუბუ. დედა ისე იყო დაღლილ-დაქანცული რომ ძლივს იდგა ფეხზე.

—ახლა წავიდეთ სანადიროდ, სამოვარზე. შენ მშიერი იყავი მთელი ნახევარი წელიწადი და ჭამა გინდა,—უთხრა ძაძამ დედას.

ჩვენ გავეპართეთ ოკეანეს კიდესე. აქ დედა გადაეშვა წყალში, დიდხანს სცურაობდა, ჰევიითავდა, იჭერდა თევზებს

და სჭამდა, შეძლეც ის ამოვიდა წელიდან იმდენად გამსივრულ
ლებული, რომ იწყო მამასთან ჭიდაობა. ჩვენ განზე ვიდუ-
ქით და უეურებდით მათ ჭიდაობას. როდესაც კარგად დაიზი-
ლეს სხეული, გაწვნენ ეინულზე და დაისვენეს. მე და ჩემი
და შევასტით დედან ზურგზე და ჩაყსვთლიძეთ. ძალიდან
დაკენათებდა ბრწეინვალე მზე და ჩვენ წინ სმაურობდა უდარ-
დელი ოკეანე. რამოდენიმე ასი ვერსის მანძილზე არ სჩან-
და სულიერი, რომელსაც შექმლო ჩვენი სულის სიმშვიდე
დაერღვია.

ამ წუთიდან დაგვიდგა სანატრული დღეები. ჩვენ ვძვსავ-
რობდით. დედა გვასწავლიდა ცურაობას, ვვინთვას. ვთამაშობ-
დით, ვჭიდაობდით,—ერთი სიტუვით, ვსტკებოდით სიცოცხ-
ლით. როცა დავიღლებოდით, ვისვენებდით დედის ზურგზე.
როცა სანდანან ცელქობა მოკვინდებოდა, და დედან არ ვე-
მოწინილებოდით, მაშინ იგი ჩვენ დასასჯელად ისე გვცემდა
ცხვირით გვერდებში, რომ ორივე რეზინის ბურთებსავით
ვსტოდით და ვკორავდით მიწაზე.

ასე მხიარულად ვცხოვრობდით და ვატარებდით დროს.

ერთხელ მამა შესდგა და დაჭუნოსა ჰპერი.—მე რაღაცას
ვგომნობ—სთქვა მან.

—რას გომნობ?—ჰკითხა დედა.—უნოსვა ჩვენ შესამხნევი
გვაქვს და ამიტომაც იგომნო რაღაცა მამამ.

—მე ვგომნობ, რომ აქედან თორმეტ ვერსზე შეკადარი
ვეშაზი ჰგდია. წავიდეთ,—შევჭამთ.

—წავიდეთ.

ოთხივენი გავემართენით იქით, საიდანაც სუნი მოდიო-
და. ჩვენ მივიღოდით გაეინულ მინდვრებზე, გადავცურეთ გა-
უეინავი ტბები. მე და ჩემი და მივობლავდით მთებზე და იქი-
დან ბურთებსავით ძირს ჩამოვკორდებოდით.

გონობამ არ მოგვატეულია: მართლაც დავინახეთ უსწრ-
მაზარი მკვდარი ვეშანი. მამა-ჩემმა თავისი მხვილი უწამ-
წამო თვალებით გაჭსედა და სთქვა:

— აჰა, ვეშანის გვერდით ბევრ სხვა დათვებსაც მოუუ-
რიათ თავი. არაფერი აწეინონ ჩვენ ჰატარებს. დარჩით აქ,
დამიცადეთ: მე ჩქარა დავბრუნდები. ჩვენ დავრჩით და მამა
მარტო წავიდა. შორიდან უცქეროდით, როგორ ჭიდაობდა იგი
სხვა დათვებთან და მისაროდა. საღამოს მამა დაბრუნდა და
მოგვიტანა ვებურთელა ნაჭერი ვეშანის სორცისა.

— სწამეთ!— გვითხრა მან.

ჩვენც ვწამეთ. მამა გამოგვეთამაშა, გვეჩვენა და მოუ-
ლოდნელად სთქვა.

— ახლა კი მშვიდობით!— ვეღარ ვნახავთ ჩვენ დღეიდან
ერთმანეთს.

— სად მიდიხარ?— ჰკითხა შეშინებულმა დედამ.

მე ავზარდე შეილები: ისინი ახლა დიდები არიან.
დღეიდან მინდა მარტო ვინეტიალო. დროა მეც გავერთო;
მე იმ დათვებში გავერევი და იმათთან ერთად ვიმკვხავრებ.
ჯოგად ვივლით და მხოლოდ ჩემი თავისთვის ვისრუნავ.—მა-
მა გამოგვეთხოვა; წავიდა. ჩვენ მარტონი დავრჩით.

— დავბრუნდეთ ისევ ჩვენ სამშობლოში!— გვითხრა გულ-
დაწვევითილმა დედამ. მამისაგან ნატკენი გული ჩვენი დედი-
სა სამშობლო მხარეს უნდა გაემთვლებია.

გაუდევით გზას. ვეველა ადგილები ჩვენთვის სამ-
შობლო იყო. სულ ერთია, ჩვენ მანინც ვერ შევსძლებდით იმ
ადგილის ჰოვნას, საცა დავიბადენით, ისე შორს იყო ახლა
ის ჩვენგან. ვიჭვრდით თევზებს, ვსჭამდით გარეულ ფრინ-
ველების კვერცხებს. როდესაც ვერ ვპოულობდით საჭმელს,
რაც შეგვხვდებოდა, იმით კმაყოფილი ვიყავით.

ერთხელ რაღაც მკავე ხილს წავაწედი.

— სჭამეთ, სჭამეთ!— გვითხრა დედაძა:— ეს როფოს*) ეურ-
 ძენაა.

დავესიეთ ამ ხილს და ჩქარა მოვსხვეთ. აგვისტოდან უკ-
 ვე ცივმა ქარმა დაჭებრა. წამოვიდა თოვლის ზეპვები, და
 სექტემბერში უკვე დაიწყო ტერციალა ეინეები. დედა ღამ-
 ღამობით თოვლში კეფლაზდა და შემოდან, თბილად რომ
 ვოფილიუბავით, თვითონ წვებოდა. დილით ამოგვათრეკდა
 თოვლიდან, ჰაერსე ამოგვიუვანდა და კვლავ მივდიოდით ერ-
 თად საჭმლის საძოვრად.

ერთხელ, საზრდოს ძებნის დროს, გემს წავაწედი. ის
 განსირულიყო ეინულებში, თითქმის ეინულად ქცეულიყო და
 საცოდავი სანახაობა ჰქონდა. გემის საკვამლეებიდან აღარ
 ამოდიოდა კვამლი და მთელი იალქნები დაბლა იყო ჩამო-
 შვებულნი.— ეს რა არის?— გაკვირვებით ვიკითხეთ ჩვენ.

— წუნარად!— გვიპასუხა დედაძა.— აქ ხალხი არის. მე ამას
 სუნით ვკრძნობ. ესენი ჩვენთვის საშიში არიან. სუუუთ!..

გემის ახლოს სანოკავით სავსე ეუთები ეწყო და მათ
 გვერდით მარსილებიც მსად იყო გაწოობილი. სჩანდა, რომ
 გემის ზატრონებს გადაეწევიტათ თავისი გემი დაეტოვებიათ
 ღვთის ანაბარად და აქედან მარსილებით წასულიყვნენ სას-
 ლში. თვით გემიდან ისმოდა ხალხის ლაპარაკის სმა და ძალ-
 ლების ეეფა.

— ეს ძაღლები ჰეუფენ,— გვითხრა დედაძა.— ისინი აქ მოი-
 ევანეს, ადამიანებმა, რომ განსაჭირის დროს, როცა გემი ეი-
 ნულებში ჩამკრება, ძაღლები მარსილებში გააბან და განძორ-
 დნენ აქაურობას; უნდა გამოვტედე, მე მათი ძლიერ შემინია;
 მაგრამ იქნებ ვერ შეგვაძნობონ და მოვასწროთ ერთი ეუთის

*) Ключва.



გატეხა მაინც და იქიდან შაშხის მოხარვა. თქვენ არ იცით—რა გემრიელია ეს შაშხი.

დედა მივიდა უუთხან და დაჭუნონა.

— ეს შაშხი კი არა,—ღათვის სორცია,—ზისლით სთქვა მან.—აღამიანს ძლიერ უუვარს ჩვენი ლორი, წავიდეთ ჩქარა!—დედამ გვერბ დინგი: ამით გვანიშნა, რომ გავქცეულიყავით იმ ადგილიდან. ამ დროს გემის კრდოზე გამოჩნდა კაცი. თვალი მოგვეკრა თუ არა, დაუუვირა თავისიანებს:

— არიქა, არიქა: დათვები ახლოს მოსულან! ჩქარა ესროლეთ თოფი!

ჩვენ შევშინდით. სირბილით გავქანდით; მაგრამ ვერ მოვახსწარით მცირე მანძილის გავლაც, რომ გავარდა თოფი. ჩემმა დამ, რომელიც დედას აჯდა მხარზე, დაიკვნესა და დაბლა თოვლზე გადმოვარდა. ალის ფერმა სისხლმა ამოსჩქეფა თათიდან და დაუსვარა თოვლივით თეთრი ქურქი.

— ოი, ოი, თათი მტკივა, თათი!— დაიძხნა ჩემმა დამ. დედა მივარდა და ჭრილობიდან სისხლი ამოსწოვა.

— რასა შერები, დედა?—დავივირე მე შეშინებულმა:—დააგუდე აქ და გავიქცეთ ჩქარა!

დედამ ნაღვლიანად ჩაიქნია თავი.

— ახლა უკვე გვიან არის: დედა დათვი თავის დღეში არ დააგდებს თავის დაჭრილ-დაკოდილ შვილს; თუ იღუპებიან შვილები, მათათნ ერთად იღუპება დედაც.

ჩემი და მივბიკებდა და იკრუნჩხებოდა ტკივილისაგან. მე ჩუბად შევსცქეროდი. საშინელებამ მოიცვა ჩემი არსება, მაგრამ სიბრალულმა დასძლრა ჩემში შიში: მეც მივედი დასთან და დაუწუე ცხვირის და თვალების ლოკვა.

— მობრუნდი, აი, ასე,—ავწვევ ზირით და წაგეყვან!—უთხრა დედამ; მაგრამ ამ დროს მეორედ გავარდა თოფი და ტყვია მუცელში გაუმასპინძლდა დედა-ჩემს. იმან დაიღრიალა, წამო-

ღვა შედგა თათებზე და მისმა თვალებმა მრისხანე ცეცხლი გადმოაფრქვიეს.

— არ მოკვარო, — დაუვირა თავის მკვლელ ადამიანს: — ადვილად არ დაგიტობბ ჩემ სიცოცხლეს.

მაგრამ ადამიანმა მესამედაც ესროლა.

დედა დაბარბაცდა და მარცხნივ გვერდზე დაეცა.

— გათავდა ეველაფერი! — დაიკვნესა მან: — მშვიდობით, საუბარელო შვილებო! მე ვკვდები.

დედას კანკალი დაწეუბინა. მთელი ტანი გაჭიმა და სუნთქვა შეუწერდა. მე და ჩემი დაჭრილი და აუწერელი შიშით შევასტიმდედას ზურგზე და ჩვენ აღსასრულს ველოდით.

ორი კაცი მოგვიახლოვდა.

— დათვი თქვენ მოჭკალით, ტუპიც თქვენ გვეუთვით! — მიუბრუნდა ერთი მათგანი მეორეს.

— ამის სორცი აჭამეთ ძაღლებს; უკანა ფეხი კი გაჭეონეთ და თან წაიღეთ. — მხოლოდ უეურეთ, ძაღლებმა ამის დვიძლი არ შესჭამონ. დათვის დვიძლი საწამლაჲა ადამიანისა და ზირუტეებინათვის.

ჩვენ გავექვადით და ჩვენს ბედს მორჩილებით ველოდით.

— ეს დაჭრილი დათვის ბელიც აჭეუწეთ და მიეცით ძაღლებს! — იძლეოდა კანკარკულაებას ის კაცი.

— რა უოთ ამ ცოცხალ ბელს, კაპიტანო? — შევეითხა მეორე კაცი.

კაპიტანი შეფიქრდა.

— წამოიუვანეთ თან: ზატარა დათვი თავს შეკვაქცევიანებს.

ჩამსვეს ტომარაში და წამოიუვანეს გამზე. იქ ჯაჭვით ვროდოზე მიმაბეს. ვიჯექი წუნარად და კანკალით ვისმენდი ძაღლების ეფუას. ისინი სადღაც ძირს ჭეავდათ დაწვედეს.

მწუსარებამ მომიცვა. მოჭქონდათ ჩემთვის საჭმელ-სასმე-
ლი, მაგრამ არაფერი მინდოდა. მხოლოდ თავისუფლება და
თოვლით მოფენილი, თვალუწვდენი მინდვრები მენატრობდა.

ასე ორ კვირას ჯაჭვზე დაბმული ვიუავი. მერე გემიდან
გადმოვიდნენ ადამიანები და ძაღლები გამოიყვანეს, ეცათ თუ
არა ჩემი სუნი ძაღლებს, ისეთი ეფუა ასტყეს, რომ სისხლი
ძარღვებში გაძეინა. შეაბეს ის ძაღლები ძარხილებში, დააწუვეს
ზედ ეუთები, ჩასხდნენ შიგ, მეც თან ჩამსვეს და სადღაც სა-
მხრეთისაკენ გაჭქროლეს.—მშვიდო ით „ეანა“!—უკანასკნელი
საღამო მისცემს თავის ხომალდს და ცრემლები მოადგათ თვა-
ლებზე.

—მშვიდობით საუკუნოდ!—მოიხადეს ქუდები და იქნევდ-
ნენ ჰაერში: გემს ემშვიდობებოდნენ. ჩქარა ჩვენ თვალ წინ
აიძარტა უინულის ძთები; გაიძალა თოვლიანი მინდვრები. ჩვენს
გვერდით სმაურობდა ოკეანე.

მიქროდით სადღაც შორს.

სამი კვირის შემდეგ შესვლით აქა-იქ ადამიანების ბინებს.
უინულის ნატყესებისაგან იყო აშენებული და შიგ მცხოვრებ
ადამიანებს ჩვენი ტყავის ქურქები ეცვათ. ამის შემდეგ ისევ
რადაც სხვა გემზე მოვსვდით, ისევ ოკეანეზე გავცურეთ, სადაც
აღარ სჩანდა უინულები.

წინ წინ რომ მივდიოდით, თან-და-უნს ჰაერი თბებოდა.
ამის შემდეგ მე აღარ ვიცი, რა ჩვენი ჩრდილოეთის ველ-
მინდვრის საამო ცივი ნიაჳი.

რასაკვირველია შეითხავთ—რა გადამსხდა ამის შემდეგ. იგი
ვე—რაც თქვენ ეველას ამ სამაგელ სამხეცეში.

მომიყვანეს ამ ქვეყანაში და აქ გამოიდეს: სამხეცეს ჰატ-
რონმა მივიდა. მე გავიზარდე; ადამიანისათვის საშიში შევი-
ქენი და ამ გალიაში დამამწუვდიეს. ამის შემდეგ აღარ ვიცი,
რაა თავისუფლება: ვერ ვხედავ ლურჯ ცას, ვერც ზღვას; ვერც

ეინულებს: მხოლოდ ვდნები აქ სიცხისაგან; უკანა თათებზე ვდგეპარ და საათის ქანქარასავით განუწვევებლად ვქანაობ. არ ვიცო—სად გავექცე ამ საშინელ სიცხეს.


ნუ თუ არც თქვენ და არც ამ სახლს არ გეცოდებით?

თეთრი დათვი დადუძდა. მთელ სამხეცეში სინუშე გაძეფდა. ვეელა დაძწევედელ მხეცებს უეცრად მოენატრათ თავისუფლება, თვალ-უწვდენი დაბურული ტყეები, ველ-მინდვრები, ზღვა-ოკეანეები, სადაც ისე ძვირად გამოჩნდება სოლმე ადამიანი, თავისუფლად დანაჯარდობს ქარი და ირეკავს წინ საუკუნოდ გაქვავებულ ეინულის მთებს.

იქ უნდოდათ მხეცებს სიკვდილიცა და სიცოცხლაც.

მარიამ კარიუელი





ინდის ხურმა

მ სურათსე დახატულია, როგორ ჰკრეფენ ინდის ხურმას. ინდის ხურმა ძალიან გემრიელი ტბილი სილია. ინდის ხურმის სე—ზალმა—ცხელ ქვეყნებში ხარობს: აფრიკაში, მაძსრეთ აზიაში. სურათსე ჰსედავთ, რომ ეს მცენარე ძალიან ძალალი იზრდება. დიდი სარგებლობა მოაქვს ამ სეს ადამიანისათვის: იძლევა მშენიერ, გემრიელ და ნოეიერ ნაუოფს. ხისგან სხსლეებს აძენებენ, ფურცლებისაგან ცოცხებსა

და სსვა-და-სსვა დასაკველ მასალებს ამზადებენ; ფურცლის ძარღვებისაგან ბაწარს გრესენ და სსვ. ხეს წვერში დასურავენ სოლმე და გამონადენ წვენისაგან შაქარს აკეთებენ. ინდის სურმას ხვენში იმიტომ ემახიან, რომ ძველად ეს სილი აქ ინდოეთიდან შემოჰქონდათ. ახლაც ეს სილი უფრო ეგვიპტედან და ინდოეთიდან შემოდის. ფინიკი ბერძნული სიტყვაა. ბერძნებმა იმიტომ დაარქვეს ასე, რომ საბერძნეთში ეს სილი ფინიკიდან*) შემოჰქონდათ.

ინდის სურმის ხე ას წელიწადს სძლებს; იზრდება 15—25 არშინის უმაღლეს და ძალიან სქელიც არის.

ამ ბოლო დროს საქართველოშიაც შავი ზღვის ნახირებსე ამენებენ ინდის სურმის ხეებს ბათუმისა და სოხუმის ოლქებში. ხე კარგად ხარობს, დიდი იზრდება, მაგრამ ნაუოფი არ შწიფდება არასოდეს. რომ ნაუოფი დამწიფდეს, უფრო ცხელი ჰაერია საჭირო, ვიდრე ხვენშია.

როდესაც ნაუოფი დამწიფდება, მოკრებენ, მერმე მხეხე ახმობენ, უუთებში ალაგებენ და ჰვზაენიან სსვა-და-სსვა ქვეუნებში ვასაუიდად.

6.



*) ფინიკია ქვეუნა აზაში.



აკროსტიხი

(წარმოდგენილი დ. კლიოზაშვილის მიერ)

მაღლა ზეცას ბინა მძიქვს,
ერთთავადა ვსრიალებ; —
რაც კი მწერი შემსვდობა,
ცაში ვაგატილებ.
ხან საამოდ ვჭიკჭიკებ
ათასნაირ სმაზედა;
ლამაზ არეს ვახარებ,
იქაცა ვარ, მთაზედა!

სიტყვა-მარცვალ ასოებით ვარჯიშობა

(წარმოდგენილი თუო კანდელაკისაგან)

ნაფიქრია სამი სიტყვა, რომლებიც აღნიშნავენ: 1) მო-
ზდილ ჭურჭელს, 2) ეშმაკ ნადირს და 3) შინაურ ფრინველს
ამ სამი სიტყვის უკანასკნელ მარცვლებიდან შეადგინეთ ახა-
ლი სიტყვა.—საგნის სახელი, რომელიც აუცილებლად სა-
ჭიროა სწავლის დროს.

კეცუსი

(წარმოდგენილი ომერა კახიძის მიერ)



ნაცვალ-
სახელი.




კელის
სახელი.



სიმინდის
ფურცის რა
ჰქვიან?



3



3



ნვენი
საყვარელი
პოეტის
სახელი.

ქალები რას იუარებენ

ნაცვალ-სახელი.

მე-17 და მე-18 №№-ში მოთაესებულ გამოცანების, სიფყვათა თამაშის, შარადის და რებუსის ახსნა:

მე-17-ში 1) ია, 2) მაგიდა, 3) საღა ქართველ მაცმა-დიანთა სოფელია, 4) ილია ჭავჭავაძე.

მე-18-ში: 1) გედი, 2) კვურცხი, 3) კალამი, 4) დადგება სამთარი, თოვლი დაფარავს არესა.



7/131

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო თურნალ

„ნაკადული“

წელიწადი მეთორმეტე

თურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

თურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი თურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5 მან.** იმათთვის, ვინც თურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი **6 მან.** ნახევარ წლით—**3 მან.** გაგზავნით **3 მან.** 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3 მან.** გაგზავნით **3 50 კაპ.** მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.** გაგზავნით **3 მან.** 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ თურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—**40 კ.** შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლულუმიღე მერგელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან **ფოსტაში**, ღ. სამსონ ყაზიშვილთან უპრავეში. **ოზურგეთში** ღ. **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვაზამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ქავჭავანიძესთან. **მიხაილოვოში**—გაორგი ნაკაშიძესთან. **ყვირილაში**—ნინო ფერაძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი ბ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

